

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2019 წლისათვის ზომის
ერთეული ლარებში

1. პროგრამის სახელწოდება

2019 წლის პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება თხილის
ნაჭუჭით და თხილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელების დანერგვა

(UNDP პროგრამა შედგენილია გაეროს განვითარების 2016/2017 წლის კვლევის საფუძველზე)

2. პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

„1 იანვარი“ 2019 წელი - „31 დეკემბერი“ 2019 წელი.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით:

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 243 440 (ორასოცდასამათასოთხასორმოცი) ლარი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახური

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

UNDP პროგრამა შედგენილია გაეროს განვითარების 2016/2017 წლის კვლევის საფუძველზე.

პროგრამის მიზანია როგორც გარემოს შენარჩუნება, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სითბოთი უზრუნველყოფა. ჩვენ - თვითმმართველობამ, საზოგადოებამ, ერთად უნდა შევცვალოთ არსებული რეალობა ხელვაჩაურის ეკოლოგიის გასაუმჯობესებლად და მოქალაქეების საკეთილდღეოდ, აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ხე-ტყის კანონიერ ან/და უკანონო ჭრების ფაქტების აღკვეთას, ასევე შემცირდება მეწყერები, წყალმოვარდნები და მოსახლეობის სათბობი რესურსის გარეშე დარჩენა. სუფთა ენერგო ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა შეშის ჩანაცვლება თხილის ნაჭუჭით ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის გარდა აქვს სოციალური სარგებელი პროგრამით ისარგებლებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 30 001 აღწევს. 168 კომლი ისარგებლებს აღნიშნული პროგრამით, ხოლო პირთა რაოდენობა შეადგენს 960-ს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შემცირდება დაახლოებით 1700 კუბური მეტრის საშეშე ხე-ტყის მოხმარება ყოველწლიურად.

უპირატესობა:

- თხილის ნაჭუჭის მთავარი უპირატესობაა 1.5-2-ჯერ უფრო მაღალი წვის ტემპერატურა, ვიდრე შეშის შემთხვევაში;
- დაბალი ტენიანობა - რაც უფრო დაბალია ტენიანობა, მით უფრო მაღალია სითბოს გამოცემა. კარგად გამომშრალი შეშის ტენიანობაა 15-20%. თხილის ნაჭუჭის ტენიანობა არ აღემატება 10%, რაც მიიღწევა გადამამუშავებელ ქარხანაში თხილის გაშრობით - ეს გადამამუშავების აუცილებელი ეტაპია.
- თხილის ნაჭუჭი არის ენერჯის განახლებადი წყარო, რომელსაც არ გააჩნია ატმოსფეროში CO2 ემისიები;
- შეშისგან გასწვავებით, თხილის ნაჭუჭს არ ჭირდება გაშრობა, რადგან იგი შრება ქარხანაში დამამუშავების პროცესში;
- იწვის კვამლის მინიმალური რაოდენობით;
- იწვის თანაბრად და ხანგრძლივად;
- 1 ტონა თხილის ნაჭუჭს შეუძლია ჩანაცვლოს დაახლოებით 3,6 მ3 შეშა.

თხილის პლანტაციების ფართობები, ისევე როგორც გადამამუშავებელი სიმძლავრეები, საქართველოში ინტენსიურად მატულობს და აღწევს 40,00-50,000 ტონა ნედლ თხილს წლიურად, რაც მსოფლიოს მიწოდების 5% -ს შეესაბამება. თხილის პლანტაციების ჯამური ფართი საქართველოში შეადგენს 15547 ჰა-ს. ძირითადი თხილის მწარმოებელი რეგიონებია სამეგრელო (ფართობი – 10114 ჰა), გურია (ფართობი – 3339 ჰა) და იმერეთი (ფართობი – 1305 ჰა), აჭარაში - თხილს უკავია მხოლოდ 275 ჰა.

თხილის ნაჭუჭის მოხმარება როგორც ალტერნატიულ საწვავად გაზრდის თხილის პლანტაციების ფართობებს და სამომავლო პერსპექტივაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიიღებს დამატებით შემოსავალს.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორი:

N	პროგრამის მიზნები	მიზნების აღწერის შეფასების ინდიკატორები
1	<p>თხილის ნაჭუჭი ჩანაცვლებს შეშას და შემცირდება შეშაზე მოთხოვნა და მისი გამოყენება ასევე ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას რეგიონში, შეშის წვის შედეგად შემცირებული ემისიები ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას; ასევე ხელი შეეწყობა მოსახლეობას სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე კომლთა რაოდენობა 168, ხოლო სულ 960 პირი ისარგებლებს პროგრამით</p>
2	<p>პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება თხილის ნაჭუჭით და თხილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელების დანერგვა</p>	<p>თხილის ნაჭუჭისა და ენერგოეფექტური თხილი ნაჭუჭის ღუმელის შექმნა და დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი</p>
3	<p>სუფთა ენერგო ტექნოლოგიების დანერგვას, როგორცაა შეშის ჩანაცვლება თხილის ნაჭუჭით ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის გარდა აქვს სოციალური სარგებელი</p>	<p>თხილის პლანტაციების ფართობის გაზრდა, შეშის მოხმარების შემცირება და ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი</p>

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

N	დასახელება	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
1	ბენეფიციარების განცხადებების მიღება	X	X	X
2	თბილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელის შეძენა	X	X	X
3	თბილის ნაჭუჭის შეძენა	x	x	x

9. პროგრამით მოსარგებლე პირები.

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულების- 30 001 აღწევს და ამასთან არიან არაგაზიფიცირებული კომლექსი.

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევისა და დაფინანსების წესი;

1. პროგრამაში ჩართვის მიზნით მოქალაქემ 2019 წლის 31 მარტამდე უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტს განცხადებით და უნდა წარუდგინოს სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულები.
2. პროგრამის მოსარგებლის განცხადებების განხილვა/შერჩევას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია.
3. პროგრამის ფარგლებში თითოეულ ბენეფიციარს უსასყიდლოდ გადაეცემა 3000 კგ. ფარგლებში თბილის ნაჭუჭი და ენერგო ეფექტური ხელნაკეთი ღუმელი ცხელი წყლის რეზერუარით.

11.პროგრამი ბიუჯეტი:

1. თბილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელის შეძენის გასაწევი ხარჯები.
2. თბილის ნაჭუჭის შეძენის გასაწევი ხარჯები.
3. სასაწყობე ფართის გასაწევი ხარჯები.

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	სავარაუდო ფასი (ლარი)	საერთო ფასი
1	თბილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელი	ცალი	168	700	117600
2	თბილის ნაჭუჭი	კვ	504 000	0,21	105840
	სასაწყობე ფართის ქირა	კვმ	500	10	20000
	სულ ჯამი:				243 440

1. პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

N	წყაროს დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	სულ ჯამი
1	ძირითადი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 100%	243 440	-	-	243 440

დამატებითი ინფორმაცია;

პროგრამაში ჩართვა განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და ბენეფიციარების განცხადებების საფუძველზე.

